კომპლექსური დავალება მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და 8 რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

დავალებებში გამოყენებულია პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში მომზადებული რესურსები:



თემატური ბლოკი:	**ადგილობრივი ხელისუფლება**
სამიზნე ცნება:	**ინიციატივა და მეწარმეობა; მდგრადი განვითარება**

საკითხი:	**ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები**

კომპლექსური დავალების პირობა:

თქვენს უბანში იგეგმება მშენებლობა, რომლის გამოც უნდა გაიჩეხოს არაერთი ხე. ფიქრობთ, რომ ამ ქმედებამ შეიძლება, გამოიწვიოს ეკოლოგიური პრობლემები. გადაწყვიტეთ, **წერილი** მისწეროთ **ადგილობრივ თვითმმართველობას**, რათა შეახსენოთ მათი **ფუნქციები** და აუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ მშენებლობის შეჩერება.

წერილში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რომელი პრობლემის გამო წერთ წერილს და როგორია ამ პრობლემის მოგვარების თქვენეული ხედვა? (რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოგვარდეს ან თავიდან იქნეს არიდებული ეს პრობლემა).
- როგორ აისახება მსგავსი გადაწყვეტილებები (მშენებლობები, რომლის დროსაც იჩეხება ხეები) ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობასა და თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე?
- რა მოვალეობები და ფუნქციები აქვს ადგილობრივი თვითმმართველობას მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას? (რატომ უნდა გაითვალისწინონ გარემოს დაცვა).

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გაეცანით მასალას ადგილობრივი **თვითმმართველობის არსისა** ⬇ **და ფუნქციების შესახებ** ⬇,
- ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაამუშავოთ სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოს (**„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“**) პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თავები
- წერილის დასაწერად გაეცანით ოფიციალური წერილის შაბლონს ⬇

ადგილობრივი თვითმმართველობის არსი ⬆

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ10, 23-24, 36

დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია ძლიერი და ეფექტიანი ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოში დემოკრატიული მმართველობის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ადგილობრივი თვითმმართველობა საზოგადოებასთან ყველაზე უფრო ახლომდგომი ხელისუფლების დონეა. იგი, კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად მოქმედებს და არ წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების უშუალო გაგრძელებას ადგილებზე. მისი მეშვეობით ამა თუ იმ ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებნი თავად, ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, აწესრიგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. ადგილობრივი თვითმმართველობა, ერთი მხრივ, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ქვეყნის მართვას და საშუალებას აძლევს მათ, საკუთარი უფლებები დაიცვან, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობს მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას; ანუ ადგილობრივი თვითმმართველობა გულისხმობს მოქალაქის უფლებასა და პასუხისმგებლობას, მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც უშუალოდ მას და მის საცხოვრებელ გარემოს ეხება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები რაც შეიძლება ახლოს უნდა იდგნენ მოსახლეობასთან და მის ინტერესებს იცავდნენ.

„ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ შექმნა, რომელსაც 1985 წელს სტრასბურგში მოეწერა ხელი. ქარტიაში ჩამოყალიბებულია თვითმმართველობის საქმიანობის გარანტიები და ამ პრინციპების გაზიარება ყველა ევროპული ქვეყნისთვის სავალდებულოა.

ადგილობრივი თვითმმართველობა, შეიძლება, განვიხილოთ როგორც ერთგვარი „ხელშეკრულება“ ხალხსა და ხელისუფლებას შორის, რომელშიც ორმხრივი უფლებები და მოვალეობებია განსაზღვრული. თვითმმართველობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხალხი და ხელისუფლება საკუთარ მოვალეობებსა და უფლებებს პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ყველა დემოკრატიული ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების უმთავრეს, ფუნდამენტურ პრინციპად სუბსიდიარობის პრინციპია აღიარებული ყველაფერი, რისი გაკეთებაც ხელისუფლების ქვედა დონეზეა შესაძლებელი, არ შეიძლება, განსახორციელებლად ხელისუფლების ზედა დონეს გადაეცეს. მსოფლიო გამოცდილებამ დაგვანახა და ევროპული ქარტიაც მიიჩნევს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკეთ იცის ადგილობრივი საჭიროებანი და მოსახლეობის მოთხოვნებს ბევრად უფრო ადეკვატურად შეუძლია უპასუხოს, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც დაშორებულნი არიან ცალკეულ დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებს და, ამასთან, მრავალი საერთო-სახელმწიფოებრივი საქმით არიან დაკავებულნი.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 7, პუნქტი 4.



საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან.

2002 წელს საქართველომ „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას“ მოაწერა ხელი, ხოლო 2004 წლის 26 ოქტომბერს

საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა. 2014 წელს კი მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საქართველოს კონსტიტუციასა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიაში“ დეკლარირებულ პრინციპებს ეყრდნობა. კოდექსის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“ (მუხლი 2). საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, აირჩიონ ან თავად იქნენ არჩეულნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში; ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ; მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და წინასწარ გაეცნონ მის გადაწყვეტილებებს, მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში, მოითხოვონ პროექტების საჯარო განხილვა და ა.შ.

ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურაში ისევე, როგორც ცენტრალურ დონეზე, არსებობს წარმომადგენლობითი (მოქმედების წესების დამდგენი) და აღმასრულებელი (დადგენილი წესების თანახმად საქმიანობის განმახორციელებელი) შტოები.

წარმომადგენლობითი ორგანო ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არის საქართველოს პარლამენტი, ხოლო ადგილობრივ დონეზე საკრებულო. აღმასრულებელ ორგანოს ცენტრალურ დონეზე საქართველოს მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი) წარმოადგენს, ხოლო თვითმმართველობის დონეზე მერი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ 29-30 .

ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც ქვეყნის მართვის სისტემის ერთ-ერთ ელემენტს, საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

ზოგადად, ადგილობრივ ხელისუფლებას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს:

1. საჯარო მომსახურების გაწევა ადგილებზე;
2. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
3. სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

<u>**განვიხილოთ ეს სამი ძირითადი ფუნქცია:**</u>

1. საჯარო მომსახურების გაწევის დროს აუცილებელია ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება, ამ პროცესში მაღალი შედეგების მიღწევა, მოქალაქეებისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თანხების ეფექტიანი ხარჯვა. მთავარი და ყველაზე რთული ამოცანა კი ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემების გამოვლენაა, რაც აშკარაა, რომ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს. თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს მოსახლეობის მოსმენის უნარი და მათი მოთხოვნების გათვალისწინების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

2. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი ფუნქციაა. მდგრადი განვითარების კონცეფცია ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას

გულისხმობს, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით უზრუნველყოფს. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ მომავალ თაობებს საფრთხე არ შეექმნას. მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინებით, გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის პირობების შექმნას გულისხმობს. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა (1995 წ.) სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია მიწის მართვის (რეგულირება იმისა, თუ ვინ და როგორი პირობით, რა მიზნით იყენებს მიწის ფართობს) ეფექტიანი სისტემის შექმნა, ენერგიისა და სხვა მა- სალების ეფექტიანი გამოყენება, მიწათმოქმედების, ტყისა და წყლის რესურსების იმგვარად გამოყენება, რომ მათ მომავალშიც უზრუნველყონ ჯანსაღი და პროდუქტიული გარემოს არსებობა. ასეთი საკითხები განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ევროპა) კანონით რეგულირდება. მაგალითისთვის: როცა რომელიმე კომპანია ტყის გაჩეხვას იწყებს (რაც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისა და სამშენებლო მასალის შესაქმნელად), მას ევალება გაჩეხილი ტყის ადგილზე ნერგების დარგვაც, რათა ახალი ტყე გაიზარდოს და ზიანი არ მიადგეს გარემოს.

3. სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ქვეყნის მართვაში, ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია მოქალაქეთა ჩართვა. თუ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთ საშუალება არ ექნებათ, თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის უფრო მნიშვნელოვანი საკითხი და ამ საკითხებს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება მოაგვარებს, ან რეალური საჭიროების ნაცვლად სხვა საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას, ეს მოქალაქეებში გაზრდის იმედგაცრუების ხარისხს და ადამიანების გაღიზიანებას გამოიწვევს. ასეთი მდგომარეობა საფრთხეს შეუქმნის თავად ქვეყნის სტაბილური განვითარების პროცესს და გამოიწვევს მოქალაქეთა აგრესიას, რაც დესტაბილიზაციაში და, ბოლოს, ძალადობრივ ქმედებებში (მღელვარებები, რევოლუციები) შეიძლება გადაიზარდოს.

ოფიციალური წერილის ნიმუში

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** 77 გვ.



ოფიციალური წერილის ნიმუში

ნიმუში #1 – ინდივიდუალური წერილი

_____

(მიუთითეთ საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირის პოზიცია, მაგ: საკრებულოს თავმჯდომარეს)

ბატონ/ქალბატონ _____

(მიუთითეთ მისი სახელი, გვარი, მონაცემები განმცხადებლის შესახებ)

მოქალაქე _____

(მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი და მონაცემები: მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტის მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო/ქალბატონო _____ ,

პირველი ნაწილი: საკითხის ან პრობლემის არსი

მეორე ნაწილი: საკითხის ან პრობლემის დეტალური აღწერა

მესამე ნაწილი: მოთხოვნა

თავაზიანი დასასრული

ხელმოწერა

თარიღი